აჭარის რესურსული პოტენციალი და მის ბაზაზე ბიზნესის პრიორიტეტულ მიმართულებათა გამოკვეთა

დავით ჩერქეზიშვილი
სტუ-ს დოქტორანტი
E-mail: barata49@mail.ru

რეზიუმე

სტატიაში განხილულია აჭარის სანედლეულო რესურსები, რომლებიც გამოდგება აჭარაში ბიზნესის განსავითარებლად. ნათქვამია, რომ იმ პირობებში, როცა აჭარას საკმაოდ დიდი რაოდენობით აქვს ნედლეული მცირე და საშუალო ბიზნესის განსავითარებლად, აჭარაში ოფიციალური სტატისტიკით მოსახლეობის 18% უმუშევარია.

სტატიაში განხილულია აჭარის სანედლეულო რესურსები და გამოკვეთილია პრიორიტეტული მიმართულებები. ესენია: ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, მინერალური და წყაროს წყლის ჩამოსხმა, მცირე და მინიჰესების ამუშავება და სხვა.

სტატიაში მოსახლეობისთვის ბიზნესის კეთების სასწავლებლად დასმულია საკითხი ბათუმში, ქობულეთში და ხელვაჩაურში ბიზნეს-ინკუბატორების გახსნის შესახებ.

საკვანძო სიტყვები:
სტევია
აქტინიდია
საქჰიდროპროექტი
ბიზნესინკუბატორები
ნაცრისფერი ტუფი

შესავალი

საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა არ არის მდიდარი და სახელგანთქმული მსოფლიო მნიშვნელობის წიაღისეული საბადოებით, მთიანი რელიეფის გამო, მისი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ფართობებიც მეტად შეზღუდულია და გაფართოებას არ ექვემდებარება, მაგრამ აჭარას მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების კარგი პოტენციალი გააჩნია.

უპირველესად ეს არის ტურიზმის და საკურორტო მეურნეობის პოტენციალი. აჭარის ბარის რეგიონის ზღვისპირა ზოლი გადაჭიმულია ბათუმიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 35 კმ-ის მანძილზე. აქ კლიმატი განსაკუთრებულად რბილია, საშუალო თვიური ტემპერატურის ამპლიტუდა აქ რბილია და 17^0-ს არ აღემატება. იანვრის საშუალო ტემპერატურა ბათუმში – 6^0-ია, აგვისტოში კი – 23.

1. აჭარის ზღვისპირა სანაპირო პლაჟები საუცხოო ხარისხის პლაჟებით არის მოფენილი. ესენია: ბათუმის, ქობულეთის, მახინჯაურის, ციხისძირის, მწვანე კონცხის და სხვა დასახლებების პლაჟები.

საკურორტო-ტურისტული მიმართულებით სპეციალიასტები აჭარაში გამოყოფენ ორ რეკრეაციულ რაიონს [1, გვ. 46]:

1. ბათუმის რაიონი;
2. ქობულეთის რაიონი.

ბათუმის რაიონი მოიცავს: ბათუმს, მახინჯაურს და სამთო-კლიმატურ კურორტ "ცისკარას". ქობულეთის რაიონი კი ქობულეთის და ციხისძირის კომპლექსებს. ბათუმის რაიონისთვის დამახასიათებელია ტურისტულ-სამკურნალო ფუნქცია, ქობულეთის რაიონისთვის კი მხოლოდ სამკურნალო ფუნქციაა.

მაშასადამე, ბათუმის კომპლექსში ტურისტები არა მხოლოდ იმკურნალებენ ზღვის წყლით და მზის სხივებით პლაჟებზე, არამედ, დაისვენებენ და შემეცნებით-გასართობ ტურისტულ სვლებსაც მოაწყობენ ქალაქში და ქალაქგარეთ. ბათუმის კომპლექსში შემავალ მახინჯაურში შეიძლება გოგირდოვანი აბაზანების მიღება. გოგირდოვანი აბაზანები სასარგებლოა სახსრების დაავადებების და პერიფერიული ნერვული და გინეკოლოგიური დაავადებების სამკურნალოდდ.

რაც შეეხება ქობულეთის რაიონს, ის როგორც აღვნიშნეთ, სამკურნალო ფუნქციის მატარებელია. ქობულეთის კომპლექსის ღირსებაა ზღვის წყლის მაღალი ტემპერატურა და

ვრილქვიშა დიდი ფართობის კარგი პლაჟები [1, გვ. 48], რომლებიც ძალიან მოხერხებულია მზის აბაზანების მისაღებად. ქობულეთის კომპლექსში შემავალ ციხისძირში მკურნალობენ სასუნთქი გზების არატუბერკულოზურ და გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს. ეს ხდება ციხისძირის უნიკალური ჰაერით, რომელიც მთის და ზღვის ჰაერის ნაზავს წარმოადგენს.

ჩვენი აზრით, ტურიზმის და დასვენების თვალსაზრისით, აჭარას მესამე რაიონიც უნდა გამოეყოს და მას უნდა დაერქვას აჭარის მთიანეთი. მასში უნდა შევიდეს. აჭარის მთიანი სოფლები (სარფი, ბეშუმი, მერისა, კრილი, უცამბა, კოკოტაური, ხიხაძირი, დანისპარაული და სხვები), რომლებიც ტურისტებისთვის საინტერესო დათვალიერების და დასვენების ობიექტებს წარმოადგენენ. ამ სოფლებში ტურისტებს ხვდებათ სტუმართმოყვარეობა, პირველყოფილი ბუნება და ა. შ. აჭარის მთის სოფლებს და ალპური ზონის დასახლებებს სათანადო ინფორმაციის პირობებში ბევრი უცხოელი ტურისტის მოზიდვა შეუძლია. უცხოელებს განსაკუთრებით იზიდავს სამთო სპორტი, მთის მდინარეებზე ცურვა და თევზაობა, გარეულ ცხოველებზე ნადირობა, ცხენოსნობა და ა. შ. ამის მოწყობის დიდი პოტენციალი გააჩნია აჭარის მთიანეთს.

მეორე და არანაკლებ ტურიზმზე მნიშვნელოვანი არის სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაფართოება. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მიწის ფართობების გადიდების საშუალება აჭარაში არ არის, მაგრამ არის იმავე მიწაზე მეტი მოსავლის მიღების საშუალება და ნაკლებმოსავლიანი კულტურების უხვმოსავლიანით ჩანაცვლების საშუალება. საჭიროა მხოლოდ ასეთი კულტურების შერჩევა და რიგთაშორისი თესვის (რგვის) დანერგვა და ამ საქმის წასახალისებლად ბიზნესმენებზე გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტების გაცემა. სპეციალისტების გამოთვლით „მარტო ხელვაჩაურის და ქობულეთის რაიონებში შეიძლება დამატებით გაშენდეს 3000 ჰექტარზე მეტი თხილის, სტევიას, აქტინიდიას, ფეიჰოიას და ჩაის და მანდარინის ახალი ჯიშების – ოკიცუ-ვასეს, ტიხარა-ენსიუს და მიჰო-ვასეს პლანტაციები“ [2, გვ. 103].

რაც შეეხება მთის სოფლებს, იქ, მართალია, განვითარებულია მესაქონლეობა, მეთამბაქოობა, მეხილეობა-მევენახეობა და მეკარტოფილეობა, მაგრამ ზოგიერთი მათგანი, კერძოდ, მეხილეობა-მევენახეობა ვერ იძლევა სასაქონლო პროდუქციას, რადგან დამწიფებას ვერ ასწრებს და ამიტომ მას უნდა ჩაენაცვლოს მეაბრეშუმეობა და მეფუტკრეობა. მეფუტკრეობის განვითარება ჩვენ მთიანი აჭარის სოფლის მეურნეობის ერთერთ წამყვან დარგად მიგვაჩნია. რაც შეეხება ხილს და ვენახს, მისი გაშენება აჭარაში მხოლოდ 1300 მეტრამდე სიმაღლის ზონაში შეიძლება და ისიც მაღლარი ვენახის, რადგან მას მცირე მიწა სჭირდება.

აჭარის მთიანეთში უნდა განვითარდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოებიც, კერძოდ, ყველ-კარაქის ფირმები, მინერალური წყლების ჩამოსხმა, წყაროს წყლის ჩამოსხმა, ხე-ტყის სახერხი ფირმები, ველური კენკრის და სამკურნალო მცენარეების შემგროვებელ-დამფასოებელი ფირმები (საბჭოთა წლებში აჭარაში ველური ბუნებიდან 1000-1200 ტონა სამკურნალო მცენარეები მზადდებოდა [3, გვ. 398], ახლა კი, ასეთი პროფილის არცერთი საწარმო აღარ არის აჭარაში გახსნილი), ზოგიერთ ადგილობრივი მნიშვნელობის წიაღისეულის მომპოვებელი ფირმები, ხილ-ბოსტნეულის კონსერვების და მურაბების დამამზადებელი ფირმები და სხვა. მაგალითად, შუახევის რაიონის სოფელ კრილში მრავლადაა აგურ-კრამიტის თიხები, სოფელ ახალშენში – ნაცრისფერი ტუფი [4, გვ. 155]. ორივე ეს მასალა მშენებლობაში წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული და მათით მოხდეს იმპორტირებული საშენი მასალების ჩანაცვლება. იგივე ითქმის ხილის და ციტრუსის წვენებზე, ჯემებზე, მურაბებზე და ა. შ.

აჭარაში არ არის ათვისებული არსებული ენერგეტიკული რესურსების პოტენციალიც. საჰიდროპროექტის და ფირმების „ბასიანი“ და „რესურსი“ ინიციატივით შესწავლილი და გამოვლენილია აჭარის მდინარეებზე 28 საშუალო და მცირე სიმძლავრის და 27 მინი ჰესის მშენებლობის შესაძლებლობა [5, გვ. 16]. ამ რესურსს ძირითადად მთის მდინარეები შეიცავენ. თუ აღარაფერს ვიტყვით საშუალო სიმძლავრის ჰესებზე, მცირე და მინი ჰესები მთის სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობასაც შეუძლია მოაწყოს (ერთი მინი ჰესი თავისი სიმძლავრის ორსამ სოფელს ეყოფა). მაგრამ მათ საამისო ცოდნა და მატერიალური პირობები არ გააჩნიათ. ამიტომ ბიზნესი აჭარის მთიან რეგიონში იმიტომ კი არ ვითარდება, რომ სანედლეულო რესურსი არ არის, არამედ იმიტომ, რომ მოსახლეობამ არ იცის როგორ და რა ბიზნესი დაიწყოს, როგორ მართოს იგი და, რაც მთავარია, არა აქვთ ამისთვის საჭირო ფინანსური რესურსი.

დასკვნა

ჩვენი ღრმა რწმენით, მთელ მსოფლიოში ადამიანებმა ბიზნესის კეთება ბიზნესინკუბა-

ტორებში ისწავლეს და მერე დამოუკიდებლად წარმატებით გაართვეს მას თავი. საქართველო ამ მხრივ არ შეიძლება იყოს გამონაკლისი. საჭიროა აჭარის მთავრობამ გახსნას ბიზნეს-ინკუბატორები ბათუმში, ქობულეთში და ხელ-ვაჩაურში. განათავსოს იქ ახლადგახსნილი მცირე ფირმები და ასწავლოს მათ ბიზნესის კეთება. ერთ წელიწადში ისინი ისე დაოსტატ-დებიან, რომ აღარ დასჭირდებათ მთავრობის დახმარება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ე. კობახიძე, საქართველო სსრ საკურორ-ტო მეურნეობა და ტურიზმი, თბ., 1971.

2. მ. გუტკარაძე, აჭარა, ეკონომიკურ-გეოგრაფი-ული დახასიათება, ბათუმი, 2001.

3. საქართველოს რეგიონებში მეწარმეობის განვითარების და ხელშეწყობის მიმართულე-ბები, ბათუმი, 2002.

4. ჯ. გაბაიძე, აჭარის ბუნებრივ-რესურსუ-ლი პოტენციალი, ჟ. „საქართველოს გეოგრა-ფია“, №2, 2003.

5. გ. სვანიძე, ა. ჭითანავა, ნ. ემუხვარი, ვ. გელაძე, აჭარის ჰიდრორესურსები: დღევანდელობა და გამოჯ-ენების პერსპექტივები, მოხსენება სამეცნიერო-პრაქ-ტიკულ კონფერენციაზე 1997 წ. 13 ივნისი.

THE RESOURCE POTENTIAL OF ADJARA AND THE IDENTIFICATION OF PRIORITY AREAS OF BUSINESS BASED ON IT

DAVIT CHERQEZISHVILI
Doctoral Candidate of GTU
E-mail: barata49@mail.ru

Summary

The article deals with stocks of raw materials Adjara, which are suitable for business development. It is noted that Adjara has sufficient resources for the development of small and medium businesses, but in these conditions, 18% of the region's population - are unemployed.

The article describes the raw material resource potential of Adjara and identified priority business areas are: tourism, agriculture, production of mineral water, the construction of small and medium-sized hydropower stations.

The article suggested the opening of a business incubator in Batumi, Kobuleti and Khelvachauri population for learning the business.